დამტკიცებულია

თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის N #24/7 დადგენილებით

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიაა -კომპლექსური პროცესია, რომელმაც ბოლო წლებში გლობალიზაციის პირობებში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა კონკურენტუნარიანობის და განათლების ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით. თსსუ-ის ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობების, თანამშრომლობის და კოოპერაციის განვითარებას გლობალური მასშტაბით, რათა უმაღლესი განათლება მოიყვანოს შესაბამისობაში საზოგადოების, ეკონომიკისა და შრომის ბაზრის გლობალიზაციის მოთხოვნებთან და გამოწვევებთან. თსსუ ახორციელებს ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს მისი აკადემიური და პროფესიული სტანდარტების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას და ჰარმონიზაციას.

თსსუ-ის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებებია:

1) **თსსუ-ის საერთაშორისო აღიარება და მიმზიდველობის გაზრდა**
   - მსოფლიო სამედიცინო სკოლების დირექტორიაში თსსუ-ის წარმომადგენლობის და მაღალი რეიტინგის ხელშეწყობა,
   - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წევრობა და მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში აქტიური ჩართულობა

2) **აკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაცია**
   - კურიკულუმის დიზაინისადმი კომპეტენტური და ინოვაციური მიდგომები,
   - სწავლებისა და ცოდნის შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა,
   - სწავლისა და სწავლების პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება,
   - ერთობლივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება

3) **საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა**
   - უცხოელ სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამაში "Study in Georgia" ჩართულობა,
   - საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზრობებში მონაწილეობა,
   - თანამშრომლობა საერთაშორისო მომზიდავ კომპანიებთან,
   - ურთიერთობა ინდივიდუალურ აპლიკანტებთან

4) **კვლევის ინტერნაციონალიზაცია**

- მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ინტერნაციონალიზაცია,
- საერთაშორისო ჩარჩო პროგრამებში, მათ შორის „ჰორიზონტ 2020“-ში მონაწილეობა და ფონდების მოზიდვის გაძლიერება,
- სამეცნიერო პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა,
- ტრანსლაციური, ინტერ-სექტორული, ინტერ-დისციპლინური და ინტერ-ინსტიტუციური კვლევების ხელშეწყობა,
- ძლიერი სამეცნიერო დარგების კლასტერების იდენტიფიკაცია და საზღვარგარეთ ცნობილ მეცნიერებთან/სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობის დამყარების ხელშეწყობა,
- მეცნიერების ფესტივალის ახალი პროგრამის შემუშავება და ინტეგრირება საერთაშორისო სამეცნიერო ფესტივალებთან

5) **საერთაშორისო მობილობა** - სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები

- ERASMUS+,
- გაცვლითი პროგრამები პარტნიორ უნივერსიტეტებსა და კლინიკებში ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე

6) **უცხოელი პროფესორების მოწვევა აკადემიური და სამედიცინო საქმიანობის (მათ შორის საქველმოქმედო) განხორციელებისათვის საქართველოში**

7) **მონაწილეობა სხვადასხვა პროფესიულ ღონისძიებებში - ჯანდაცვის პროფესიონალთა უწყვეტი გადამზადება**

- დისტანციური სწავლება და ტელემედიცინის გამოყენება

8) **თსსუ კურსდამთავრებულებთან (ALUMNI) საერთაშორისო თანამშრომლობა**

- კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის შექმნა,
- დოკუმენტაციის - დიპლომის და დიპლომის დანართის ვერიფიკაცია